EURO-CAUCASIAN COOPERATION ASSOCIATION
ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია

პროექტი
შესაძლებლობების განვითარება არჩევნებისთვის

პროექტის დაწყების თარიღი: **1** ივნისი **2016** წელი
პროექტის დასრულების თარიღი: **30** აგვისტო **2016** წელი
პროექტი დაფინანსებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ

შემაჯამებელი პრეზენტაცია 2016 წ

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტი მოიცავდა სამ ეტაპს:

პირველი ეტაპი- მოსამზადებელი სამუშაოები:

- საკანცელარიო ნივთების შეძენა;
- ოფისისა და სასტუმროს დაქირავება;
- პროექტში მონაწილე მუშა ჯგუფის - პროექტის ხელმძღვანელის, შეხვედრების კოორდინატორების, ტრენერების, ფასილიტატორის, ტექნიკური მენეჯერის შეხვედრა და ტრენინგის გრაფიკის შემუშავება;
- პროექტში მონაწილე პოლიტიკური პარტიების თითოეულ ტრენინგებზე დასწრების კვოტა და თარიღის დადგენა;
- პარტიების ინფორმირება ტრენინგის გრაფიკის შესახებ;
- ტრენინგისთვის საჭირო მასალების მომზადება და დაბეჭდვა;
- მომზადდა და დაიბეჭდა 200 ფერადი საინფორმაციო ბუკლეტი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ECCA
ევროპასიფური თანამშრომლობის ასოციაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა და დაიბეჭდა სასწავლო მასალა ბროშურის სახით, 200 ეგზემპლარი 65 გვერდი (იხ. ბროშურა).
- ტრენინგებისთვის მომზადდა სლაიდები ოთხივე მოდულისთვის.
- ტრენიგეგიბისთვის საარჩევნო საკითხებზე გამოყენებულ იქნა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სლაიდები და ტრენინგ მასალები.
- პროექტის ფარგლებში მომზადდა ორგანიზაციის ლოგოთი ბრენდირებული ბანერი, ბლოკნოტები, კალმისტრები, ბეიჯები, სერთიფიკატები.
- ტრენინგების ჩატარებისთვის შეირჩა სასტუმრო Palm Beach-ი ზუგდიდი-ანაკლია.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ECCA
ევროპასიური თანამშრომლობის ასოციაციები

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მეორე ეტაპი- ძირითადი სამუშაოები:

ტრენინგები

ტრენინგები დაიწყო 20 ივნისს და დამთავრდა 26 აგვისტოს.

ტრენინგები შედგებოდა 7 მოდულისაგან:

- არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა;
- გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება;
- კონფლიქტების მართვა, საარჩევნო დავები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა;
- წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები.
- საარჩევნო ციკლი და საკანონმდებლო სიახლეები;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა;
- კენჭისყრის დღის პროცედურები.

- 7 მოდულიდან 4 წარმოდგენილი იყო ევრო-კავკასიური თანამრომლობის ასოციაციის მიერ, ხოლო 3 დაემატება სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხრიდან.
- სულ მოდულების ხანგრძლივობამ შეადგინა 24 საათი, აღნიშნული საათები გადანაწილდა ოთხი დღეზე. აქედან სამი საათი შეივსო სწავლების ცენტრის მიერ და ტრენინგიც შესაბამისად ჩაატარა ცენტრის ტრენერმა. ტრენინგების დაწყების წინა დღეებში ხდებოდა ბენეფიციარების განთავსება სასტუმროში.
- სულ ტრენინგს ატარებდა ორგანიზაციის ოთხი და ერთი სწავლების ცენტრის ტრენერი. ყოველ დღე წარმოებდა მონაწილეთა რეგისტრაცია;
- ტრენინგების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები; პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა ორგანიზაციის ვებგვერდის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი შედეგები

რაოდენობრივი მაჩვენებელი:

- 180 პარტიის წევრმა მიიღო ინფორმაცია და აიმაღლა ცოდნა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით;
- 180 პარტიის წევრმა მიიღო საინფორმაციო მასალები;
- 180 პარტიის წევრი შეძლებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას არჩევნების დღეს და დაიცვას საკუთარი ინტერესები საარჩევნო უბნებზე;
- სულ გავრცელდება 180 ბროშურა და 180 ბუკლეტი;
- 180 პარტიის წევრი თავადვე შეძლებს შემდგომში კონსულტაციები გაუწიოს საკუთარი პარტიის წევრებს;
- სულ ჩატარდა 9 ტრენინგი.

- **თვისობრივი შედეგები:**
- ამაღლდა რეგიონში პარტიის წევრთა ცოდნისა და ინფორმირებულების დონე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით;
- პარტიის წევრები უფრო აქტიურად შეძლებენ საკუთარი საარჩევნო უფლებების დაცვას, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს;
- პარტიის წევრები მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფისთვის;
- ცოდნით აღჭურვილი პარტიის აქტივისტები უფრო მეტად დაიცავენ პარტიის კანონიერ ინტერესებს, როგორც საუბნო, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში;
- ამაღლდება საარჩევნო კულტურის დონე რეგიონში;
- საარჩევნი კულტურის ამაღლება თავის მხრივ ხელს შეუწყობს საარჩევნო ნიჰილიზმის დაძლევას საზოგადოებაში;
- შესაძლებელი იქნება უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება;
- პროექტის პოტენციური მომხმარებელი ება სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიტიკური პარტიები და მათი წევრები;

- მონიტორინგი
- მონიტორინგი მოიცავდა სამ ეტაპს (მოსამზადებელი, ძირითადი და საბოლოო) და ითვალისწინებს დროის გარკვეულ მონაკვეთში საქმიანობების შესაბამისობას გრაფიკთან;
- მონიტორინგის მიზანი იყო, პროექტის რეალიზაციის ყოველ კონკრეტულ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების დაგეგმილთან თანაფარდობის დადგენა და მისი ხარისხის განისაზღვრა;
- ყოველკვირეულად ჩატარდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც განიხილება პროექტის განრიგით დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესაბამისობა. შეხვედრების კოორდინატორი, ტრენერები, ფასილიტატორი, ფინანსური და ტექნიკური მენეჯერი ანგარიშს აბარებს პროექტის ხელმძღვანელს, საჭიროების შემთხვევაში მოხდება საქმიანობის კორექტირება, რაც დაუყონებლივ ეცნობება დონორს. პროექტის პროგრესის შესამოწმებლად პროექტის ხელმძღვანელი ყოველდღიურად ადგილზე გაეცნობა მიმდინარე სამუშაოებს, დაესწრება შეხვედრებს სამიზნე ჯგუფებთან. პროექტის სამუშაო ჯგუფი ყოველკვირეულად გაანალიზებს მუშაობისა და მისი მონიტორინგის შედეგებს, რაც აისახება შუალედურ და საბოლოო ანგარიშში, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად წარედგინება დონორს.

პროექტში მონაწილე კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები

- გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა 18
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია 18
- თავისუფალი დემოკრატები 18
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს 18
- ერთანი ნაციონალური მოძრაობა 18
- საქართველოს კონსერვატიული პარტია 18
- ეროვნული ფორუმი 9
- საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია 9
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 9
- საქართველოს ლეიბორისტული 9

პროექტში მონაწილე არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიები:

- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 9
- ქრისტიან დემოკრატიული პარტია 9
- თავისუფალი საქართველო 9
- ახალი მემარჯვენეები 9

სულ 180 მონაწილე, მათ შორის 61 ქალი 119 მამაკაცი.



თითოეული ტრენინგის ბოლოს ტრენინგების შეფასების მიზნით ჩატარდა გამოკითხვები, ჩატარებული ტრენინგების ხარისხისა და ხარვეზის დასადგენად. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ტრენინგში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელებმა.

კითხვაზე რომელი თემები იყო თქვენთვის განსაკუთრებით პრაქტიკული და სასარგებლო?

პასუხები ასე გადანაწილდა:

კონფლიქტების მართვა - 25%;

წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები - 30%;

გუნდური მუშაობის პრინციპები - 20 %;

არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა– 25 %;

კომუნიკაციის და მონაწილეთა ჩართულობის უნარი: მონაწილეების 80% თვლის, რომ იყო კარგი, ხოლო 20% საუკეთესო.

- **კითხვაზე რომელი თემები იყო ნაკლებად სასარგებლო?** ტრენინგის მონაწილეთა უმეტესობა თვლის, რომ ყველა თემა სასარგებლო და საინტერესო იყო.
- **კითხვაზე საკითხების ათვისება გაგიჭირდათ უფრო მეტად და რატომ?**
- ყველაზე მეტად კენჭისყრის დღის პროცედურებში და საკანონმდებლო საკითხებში გარკვევა დასახელდა. მიზეზად საარჩევნოო საკითხებში გამოუცდელობა და მეტი დროის საჭიროება დასახელდა.
- **მონაწილეების მიერ შეფასდა ტრენერების მუშაობა სხვადასხვა ასპექტში:** მასალის ცოდნაში ტრენერებმა საუკეთესო დახასიათება მიიღეს ჯგუფის მონაწილეთა 80% -გან. 20 % თვლის, რომ ხუთივე ტრენერი მასალის კარგი ცოდნით გამოირჩეოდა.

- წინამდებარე პრეზენტაცია ასახავს „ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაციის“(ECCA) მიერ პროექტის „**შესაძლებლობების განვითარება არჩევნებისთვის** ” ფარგლებში განხორციელებული პროექტის საბოლოო ანგარიშს.
- ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA) მადლობას უხდის პოლიტიკურ პარტიებს, მათ წევრებს, რომლებმაც გამოიჩინეს ინტერესი, გამოავლინეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში.
- *ორგანიზაცია განსაკუთრებულ მადლობას უხდის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, რომლის უშუალო ფინანსური მხარდაჭერითაც განხორციელდა ეს პროექტი.*